გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 1-8

ქ. თელავი 13 იანვარი 2016 წელი

ერთის მხრივ, **თვითმმართველი ქალაქ თელავის ააიპ კულტურის ცენტრი** (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი **დირექტორის ზაქარია რაზმაძის** სახით და მეორეს მხრივ **შპს „ბუნებრივი აირი"** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი **დირექტორის გიორგი ქართლელიშვილის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის ესაბამისად, ვდებთ გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი

1.1 ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე - **რესტორნებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურებები** - გამარტივებული შესყიდვის განხორციელება ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით სახსრებით . **CPV კოდი 55300000.**

1.2 "მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას მოემსახუროს კულტურის ცენტს 2016 წლის 14 იანვარს, კერძოდ უზრუნველყოს ქ. თელავში, ერეკლე მეორის მოედანზე გამართული საახალწლო კონცერტის მონაწილეების გამასპინძლება დღის 14:00 საათზე ყავით, ხოლო საღამოს კონცერტის დასრულების შემდეგ ვახშმით (40 პერსონა).

2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს **1075-00 (ერთიათასსამოცდათხუთმეტი) ლარი.** (ფასდათმობების, გადასახადების, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით

3.მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს მოთხოვნილი ხარისხის შესაბამისი მომსახურება.

3.2 მისამართი: **ქ. თელავი, ჩოლოყაშვილის 1.**

3.3 მიწოდება განხორციელდება **2016 წლის 14 იანვარს.**

4. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი(ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელიც უნდა დადასტურდეს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5. ანგარიშწორება

5.1 ანგარიშწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

5.2 გადახდის ფორმა -უ ნაღდო ანგარიშორება.

5.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების გაწევიდან 30 სამუშაო დღის ვადაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს მიწოდებული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

ბ) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

გ) არ აუნაზღაუროს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება, თუ მისი ხარისხი არ აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს;

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) გადაუხადოს მიმწოდებელს შეთანხმებული ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

ბ) მიიღოს მიწოდებული მომსახურება;

გ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დადგენილ ვადებში;

ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.ხარისხი და გარანტია

7.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული მომსახურება იქნება სტანდარტებთან შესაბამისი ხარისხის;

7.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს მომსახურების ხარისხი, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

7.3 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაბამისად განსაზღვრული პირი;

8.2 იმსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, ასევე მიწოდებული მომსახურების ხარისხის კონტროლს;

8.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის, ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0,1 %-ის ოდენობით;

9.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მხარეს ძირითადი მოვალეობების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

10.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორსმაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით (ფორს-მაჟორი);

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე, ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2016 წლის 15 თებერვლის ჩათვლით.**

14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

14.2 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

14.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

დასახელება: **თვითმმართველი ქალაქ თელავის ააიპ კულტური ცენტრი**

მისამართი: **ქ. თელავი, ჭდრის ქუჩა 2.**
საიდენტიფიკაციო კოდი - **431172063**
მომსახურე ბანკი: **სახელმწიფო ხაზინა**
ბანკის კოდი: **TRESGE22**

ანგ # **200122900**

სახაზინო კოდი **05020106**

დირექტორი ზაქარია რაზაძე

მიმწოდებელი:

დასახელება: **შპს „ბუნებრივი აირი"**

მისამართი: **ქ. თელავი, ჩოლოყაშვილის 1**
საიდენტიფიკაციო კოდი - **231251007**
მომსახურე ბანკი: **ს.ს. „თიბისი ბანკი"ს** კოდი:
ბანკის კოდი: TBCBGE22

ანგ# **GE10TB0999236020100001**

დირექტორი გიორგი ქართლელიშვილი